საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №48/ნ
2022 წლის 6 აპრილი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 24/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017112) დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 64-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშობლიური ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის დაწყებით საფეხურზე“;

ბ) მე-2 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მშობლიური ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის საბაზო საფეხურზე

ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა და ლიტერატურა“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **მიხეილ ჩხენკელი**